ინფორმაცია გამოკითხვის შესახებ

კვლევის მიზანი სამხრეთ კავკასიაში ქალების ეკონომიკური არააქტიურობისა და არაფორმალური დასაქმების მიზეზებსა და შედეგების კვლევა იყო, იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას. კვლევა მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.

მოსახლეობა: საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა (18 წელი და ზემოთ), ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი). მონაცემები არის არამარტო ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი, არამედ მისი განზოგადება შესაძლებელია თბილისის, სხვა ურბანული სტატუსის მქონე დასახლებების და სოფლად მცხოვრები მოსახლეობაზე.

შერჩევის დიზაინი: სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერულ შერჩევა

შერჩევის ზომა: 1,438 რესპონდენტი

გამოპასუხების რაოდენობა: 45%

გამოკითხვის მეთოდი: კომპიუტერის მეშვეობით პირისპირი გამოკითხვა (CAPI).

ინტერვიუს ენები: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული.

საველე სამუშაოების თარიღები: აპრილი 5, 2018 - მაისი 10, 2018.

შედეგები შეწონილია.